საქართველოს დემოკრატიული პარტია

წელიწადი პირველი

ერი

ხუთშაბათი თებერვლის 24 1921 წ.

ფასი 30 მან.

რედაქცია და კანტორა:
ქუთაისი, თბილისის ქუჩა, [illegible] რედაქცია ღიაა დილის [illegible] ვის $2^1/_2$ საათამდის. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი წერილებისა და კორესპონდენციებისათვის ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

დეპეშებისათვის—ქუთაისი ერი. ტელეფონი № 32 წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

№ 7 ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ორგანო, № 7

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4-ე გვერდზე 20 მან. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:
გაზეთი „ე რ ი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 700 მან. ცალკე № 30 მ.

ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ე რ ი

გამარჯვებული საქართველო

ქართველი ერი იმეორებს თავის ისტორიულ გმირობას. ამხედრებული, მთლიანი, პატრიოტულად აღგზნებული, სავსე იმედებით და იდეალიზმით იგი დღეს წარმოადგენს განთავისუფლებულ ამირანს, რომელიც ღვთიური ცეცხლით იკაფავს გზას მომავლისაკენ. ჩვენმა მხედრობამ ბოლშევიკები სასტიკათ დაამარცხა თბილისის მახლობლად. რუსები და სომხები თავზარდაცემულნი გარბიან.

წინ მიდის გამარჯვებული საქართველო.

სამუდამოთ გაუბედურებული მშობლები ალექსანდრე და სოფიო ბეშკენაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და საზოგადოებას თავიანთ ერთადერთ შვილის და იმედის, საქ. უნივერსიტ. სტუდენტის

პალიკო (პავლე) ბეშკენაძის

დაღუპვას ბრძოლის ველზე, რომელიც მოხდა 19 თებერვალს ს. ტაბახმელაში. დაკრძალვა დანიშნულია დღეს, თებერვლის 24-ს მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1

გულმოკლული მეგობრები: დადაში გელოვანი, ილიკო თუთბერიძე, გიორგი გამკრელიძე, ივანე სულაქველიძე, კოწია ბაქრაძე, გიორგიძე, არჩილ ხუსკივაძე, ვალიკო ცაგარეიშვილი ღრმა მწუხარებით დასტირიან, გულითადი მეგობრის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის

პალიკო (პავლე) ბეშკენაძის

გვამს, რომელიც დაღუპული იქნა მტრის ყუმბარით ბრძოლის ველზე. დასაფლავება მოხდება დღეს, თებერვლის 24 ს მთავარ-ანგელოსის ეკლესიის გალავანში.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი და მისი სამხედრო შტაბი აუწყებს საზოგადოებას

ვალერიან მელიტონის ძე

გარდაფხაძის

ბრძოლის ველზე გმირულად გარდაცვალებას. ცხედარი უკვე მოასვენეს ქუთაისში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქუთაისის და მისი გუბერნიის საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს კავშირის წევრის ძვირფასი ამხანაგის

ილიკო (იოსებ) ქაიხოსროს ძის

თაყაიშვილის

უეცრად გარდაცვალებას ქ. ბათუმში. პანაშვიდი დანიშნულია 24 ამა თებერვალს დღის 12 საათზე ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში.

კავშირის გამგეობა. 2—2

სოც. ფედ. სარევ. პარტიის ქუთაისის ახალგაზრდათა ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას რომ შაბათს ა. წ. 19 თებერვალს სამშაბათს სადარაჯოზე გმირულათ დაიღუპა ძვირფასი ამხ. სტუდენტი

პალიკო (პავლე)

ბეშკენაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 24 თებერვალს მთავარ ანგელოზის გალავანში-სამშობლოსათვის განწირულთა პანთეონში.

მდგომარეობა ირკვევა

ბოლშევიკებმა წააგეს საქმე საქართველოში.

მთელის თავისი ძალებით მოაწყდენ თბილისსა და სწადდათ ერთის დაკვრით გადაეწყვიტათ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი.

ცხადია, რაკი გადამწყვეტი შემოტევა მარცხით გათავდა, აწ მათი თანდათანობითი დაშლა, დეზორგანიზაცია და სრული განადგურება აუცილებლად მოხდება.

საქართველომ ძალები უცებ შემოიკრიბა და მტერს თავზარი დასცა.

სომხეთმა ბოლშევიკური მთავრობა ჩამოაგდო და ბოლშევიკებს ბრძოლა გამოუცხადა.

აძერბეიჯანში, დაღესტანში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებაა.

ქემალ-ფაშა აძერბეიჯანისკენ დაიძრა და კარაკლისი აიღო.

ანტანტის სახელმწიფოებისთვის ამიერ-კავკასიის საკითხი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

პოლიტიკური ურთიერთობა და სტრატეგიული მდგომარეობა გართულებულია.

და ამ გართულებული მდგომარეობიდან ის გამოვა გამარჯვებული, ვინც უფრო მომზადებულია.

მაშ, ჩვენთვის აუცილებელია, რაც შეიძლება უკეთ მომზადება.

ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს და, რაც შეიძლება, მეტი სურსათი უნდა შევკრიბოთ.

სამშობლოს დამოუკიდებლობას და ჩვენი შვილების სიცოცხლეს ყველაფერი უნდა შევსწიროთ სხვერპლად.

მაშ, ქართველო ხალხო, აღდეგ და აიღე ხმალი შემოსეული მტრის შესამუსრავად!

და დაუმტკიცე ქვეყანას შენი გმირობა და მამულიშვილობა.

ვასილ წერეთელი.

მოქალაქენო! დაიცავით წესიერება!

ჩვენი ფრონტი მაგრდება.

სამი-ოთხი დღის ომმა ბევრი რამ გამოარკვია. თუმცა მტერი საიდუმლოთ ემზადებოდა, ფარულად მოიპარებოდა, ჩვენ შინაური ცხოვრებაში ჯაშუშებიც ჰყოლია-და თავისი აზრით სახელდახელო გეგმაც შეუმუშავებია, მაგრამ ყოველივე გაუმტყუნდა, ყველაფერი დაენგრა და საშარცხვინო მდგომარეობაში თვითონ ჩავარდა.

ფარული გზებით მოახლოვებამ — თფილისში ვერ შემოიყვანა, შინაური ეჯანყება ჩვენში არ მოხდა. ჩვენი ჯარი თავზეხის არ დაუბნევია და ფრთხილათ და მამაცათ ბრძოლის ველზე დაუხვდა.

მტრის ბანაკში რა მდგომარეობაც ყოფილა—ესეც გამოირკვა. წინა რიგში მარტოთ მარტო რუსეთის ბოლშევიკები ყოფილან; სამი სხვადასხვა მხრივ მოსული მტრის რაზმებისაგან—ტყვეთ წამოყვანილნი რიცხვით ათასზე მეტი—არიან სულ ერთი ტიპის ძალები—რუსეთიდან გადმოხვეწილი ბოლშევიკები.

მიღებული სარწმუნო ცნობებიდან ირკვევა, რომ თითქმის მთლათ ადერბეიჯანსა და სომხეთში დროებით გაბატონებული რუსეთის ბოლშევიკები ჩვენსკენ წამოსულან; მათ თვით სომხეთსა და ადერბეიჯანში სუსტი პოზიცია ჰქონიათ და როცა ისინი ჩვენი საზღვრებისაკენ მოსულან, სომხეთს უნახავს დამარჯვებული მომენტი და ბოლშევიკური მთავრობა გადაუყენებია და ახალი მთავრობა გამოუცხადებია. ეს შესაძლებელი ყოფილა და ამიტომ ბოლშევიკური მთავრობის მოქმედების დროს დატყვებულნი — გაუნთავისუფლებიათ და ხალხისთვის სასიამოვნო და საზეიმო დღე მოუწყვიათ.

ბოლშევიზმს რომ იქ ნიადაგი ჰქონებოდა, იქ რომ ბოლშევიკები, ადგილობრივი ან შემოსული, პოზიციის დამცველი ყოფილიყო, ასე უკვე სომხეთი ვერ შესძლებდა მათ დამარცხებას და მათზე გამარჯვებას.

ცხადია რუსეთის ბოლშევიკებმა გაანადგურეს რაც მოასწრეს და იმ იმედით, რომ აწი აქეთ მეტს იშოვიან და აქეთ უფრო შენახულია ყველაფერი, მოაშურეს ჩვენ ქვეყანას და იმას სრულიადაც არ დაეძებენ უკან—ზურგში მათი პოზიცია დასუსტდება თუ არა. აშკარაა, რომ ჩვენ თავს გვესხმის ბანდა, რომელსაც ომის წარმოება არც უნდა და არც შეუძლია—ამას უნდა ცარცვა-გლეჯის დრო იშოვოს და დროებით თავი დაიკმაყოფილოს.

ასეთი ელემენტი ყველგან და ყველასათვის შეუგუებელია, ამიტომაც მოიშორა თუ არა სომხეთ-ადერბეიჯანმა და [illegible] ტუმრა თუ არა აქეთ, მაშინვე [illegible]ეუდგა მათი ძალისა და დარჩენილი ძალების აღმოფხვრას. მთელი დაღესტანი ამხედრდა, სომხეთმა სწრაფათ იარაღი აიღო და ყველა თავის განთავისუფლებას შეუდგა.

ამნაირათ ბოლშევიზმი სომხეთსა და ადერბეიჯანში ღლეთი ღლე ჰკარგავს ნიადაგს. ადგილობრივ ბოლშევიზმს ადვილათ ამარცხებენ და რუსეთიდან შემოპარული ბოლშევიკური ძალა იმდენი არ ყოფილა, რომ აქეთ წამოსვლის შემდეგ იქაც ნიადაგი შეერჩინათ.

დღეს ჩვენ საზღვრებზე მოსული ბოლშევიკები მარცხდებიან, დიდძალი ტყვეთ ხელში გვივარდება, იარაღსა და მოწყობილობას ბრძოლის ველზე ვატოვებინებთ.

ჩვენი ფრონტი ჩვენივე ძალებით თანდათან გამაგრდება, მათ, როგორც ირკვევა, სომხეთ-ადერბეიჯანიდან გასამაგრებელი ძალები აღარ მოემატებათ და ამ რიგათ გაგრიდან ბაქომდე ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბრძოლა გაჩაღდება. ამ ბრძოლას ბოლშევიკების დასამარცხებლათ დიდათ ხელს შეუწყობს ინგლისის რესპუბლიკის გამოსვლა, რომლის პირდაპირი გზა—ბაქო იქნება. კარაკლისის აღება—პირველი ნაბიჯია.

სომხეთ-ადერბეიჯანის გამოსვლა ჩვენს ფრონტს მეტათ გაამაგრებს.

ჩვენ წინააღმდეგ წამოსულ ბოლშევიკებს თუ ძალას მოაშველებს მოსკოვი, თორემ აქ ბოლშევიზმი—უსასოოდ დამარცხდება და ამის ნიშანი უკვე დაწყებულია.

თუ მოსკოვი აქეთ წამოვა—ეს სულ სხვა გარემოებაა.

ცნობა გვაქვს, რომ მოსკოვი მობილიზაციას აცხადებსო, შეიძლება ეს შედეგია ამ დღეებში მომხდარი ამბებისა და რუსეთი მხარს უჭერს ბაქოში გაბატონებულ საბჭოთა მთავრობას, რომელსაც შესახედ-ვათ აქამდი არ ეთანხმებოდა. ჩვენც გვარწმუნებდა, რომ საქართველოში შემოსულის წინააღმდეგი ვარ და თუ ბაქოს საბჭო ამას ჩაიდენს პასუხის გებაც მისი იქნებაო. დღეს დამტკიცდება ამ განცხადების სინამდვილე.

თუ ბაქოს საბჭოთა მთავრობა გვებრძვის—ომი მალე გათავდება ჩვენი სრული გამარჯვებით—და თუ მოსკოვი გვატყუებს, ბაქოს საბჭოთა ჯარებს ის ჯარებს მოაშველებს და მიზნათ უსათუოდ ჩვენთან ბრძოლას დაისახავს, მაშინ ომი გაგრძელდება, ომი სულ სხვა მასშტაბით გადაიშლება და ბოლშევიზმს—მარტო საქართველოს კი არა, მთელი ევროპა შეებრძოლება. თუ ეს მოხდა, თუ ამის ნიშნები დავინახეთ, სულ სხვა გზას მოვსძებნით. სულ სხვა კითხვა დადგება.

რუსეთის ბოლშევიზმი თუ მთელი თავის ძალლონით ჩვენ წინააღმდეგ წამოვა—მაშინ მას შეებრძოლება ევროპის ნაციონალიზმი; მაშინ შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა მდებარე ამიერკავკასია ბრძოლის ასპარეზათ გახდება და ევროპა აქ გადასწყვეტს მსოფლიო საკითხს—იარსებოს ბოლშევიზმმა თუ არა. ამ საქმეში საქართველო ჩაებმის როგორც მონაწილე, როგორც პოლიტიკური ეთეული, და სარგებლობა ზარალიც ამის კვალობაზე იქნება.

ფხიზლათ ვუდარაჯოთ რა გზას გვიკარნახებს პოლიტიკური მომენტი!..

ტრიფონ ჯაფარიძე.

ახალი ამბები.

ცხედრის ჩამოსვენება. ა/წ. თებერვლის 23 თბილისიდან ქუთაისს ჩამოასვენეს ბრძოლის ველზედ გმირულად დაღუპული კაპიტანი ვალერიანე გარდაფხაძე. ცხედარს სადგურზე დახვდენ მიტროპოლიტი ნაზარი, სამხედრო ნაწილები მუსიკით, მუნიციპალიტეტის წევრები და აუარებელი ხალხი. გაზეთ „ერის“ წინ საქართველოს დემოკრატიული პარტიისა და სამხედრო შტაბის სახელით სიტყვა სთქვა ბ-ნ ტრიფონ ჯაფარიძემ, ხოლო საკათედრო ტაძართან, სადაც ცხედარი დროებითაა დასვენებული, ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარიმ.

ტანთსაცმელი ჯარისთვის. თანახმად სამხედრო მინისტრის განკარგულებისა, ერობის თავმჯდომარემ მოიწვია ვაჭართა წარმომადგენელნი იმის გამოსარკვევათ თუ რამდენ ჯარისკაცის ტანსაცმელის მიცემა შეუძლია ქუთაისს. ვაჭრებთან მეთანხმებით გადაწყდა ფართლეულობის და ტყავეულობის ყველა მაღაზიის დაბეჭდა და თვით ვაჭრებისაგან შემდგარ კომისიებს მიენდო საჭირო საგნების შესყიდვა. გუშინ ეს კომისიები უკვე დადიოდა მაღაზიებში და დიდძალი ფართლეულობა და ტყავეულობა შეაგროვა ჯარისკაცებისათვის.

მტკიცე ფასები სანოვაგეზე. თებერვლის 23 საღამოს შესდგა შეერთებული კრება ყველა ფრაქციისა და ქალაქის გამგეობის დღევანდელ შექმნილ მდგომარეობის გამო სურსათ-სანოვაგეზე მტკიცე ფასების დასაწესებლათ.

მობილიზაცია. მობილიზაცია კარგათ მიმდინარეობს. მიმღები კომისიები მუშაობენ განუწყვეტლივ.

ტანსაცმელის დამზადება. ქალთა ორგანიზაცია უკვე შეუდგა ჯარის კაცებისათვის ტანსაცმელის შეკერვას. სამაზრო ერობა თხოვს ყველა მანდილოსნებს დახმარებას დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლად. საკერავის მიღება შეიძლება მუშათა კლუბში.

დატუსაღება. ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსის მიერ იქმნა დაპატიმრებული და ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში მოთავსებული ადმინისტრაციული წესით, ერთი თაით სოფელ სადემეტრაოში მცხოვრები ივანე ალექსანდრეს ძე მეფარიშვილი, რომელიც აწარმოებდა ხალხის ასაჯანყებლათ აგიტაციას მოქალაქეთა ჯარში გაწვევის წინააღმდეგ და აგრეთვე თვითონაც გაურბოდა ჯარში სამსახურს.

გაძარცვა. ამა წლის თებერვლის 13-ს ქ. ხონის ახლო, სამმა ვინტოვკებით შეიარაღებულმა ავაზაკმა გაცარცვეს ქ. ხონში მცხოვრები ლუკა დიმიტრის ძე სანაძე, რომელსაც წაართვეს ხუთი ცარიელი ტომარა და ოთხი ათას ორასი მანეთი. ადგილობრივ მილიციის მიერ შეპყრობილია ერთი გამცარცველთაგანი, კოლია გრიგოლის ძე მაჭარაძე. დანარჩენ ბოროტგამზრახველების აღმოსაჩენათ და შესაპყრობათ მიღებულია სასტიკი ზომები.

დეპეშები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

თბილისი. თებერვლის 22. გენერალურ შტაბის ცნობა. ჩვენი ჯარი განაგრძობდა მტრის დევნას კოჯორის მიმართულებით. გუშინ მზვერავების მოწინავე ნაწილებმა დაიკავეს სოფლები კუმისი და წალასკური; კუმისი აღებულია ღამით მოულოდნელ შეტევით და წამოვიღეთ მტრის რვა ტყვიისმფრქვეველი, წამოვიყვანეთ სამი ოფიცერი, 53 წითელ არმიელი, წალასკურიდან წამოღებულია ყუთები ყუმბარებით, და ვაზნებით. ყველგან მტრის დახევის მიმართულების გზებზე იმის აშკარა ნიშნებია, რომ მტერი გარბის სრული დაშლილი და დიდი დანაკლისით.

კახეთში დაიწყო ძლიერი პარტიზანული ბრძოლები ადგილობრივ გლეხთა ბოლშევიკთა წინააღმდეგ. მტრის ცდამ, მოახლოვებოდა ჩვენ სადარაჯოებს დარიალში, უნაყოფოთ ჩაიარა.

გაგრის ფრონტზე მტრის შეტევა შეჩერებულია.

ნავენი. თებერვლის 20. პოლონეთი ემზადება ლიტვის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. კოვნოსა და ვილნოსმირის რაიონში ხდება ჯარების შეჯგუფება.

იტალეთმა უარი განაცხადა აესრულებია ჩიჩერინის შეამდგომლობა საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მისიისთვის ექსტერიტორიარულ უფლებების მინიჭების შესახებ.

ლიონი. თებერვლის 22. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან თითართა შეთქმულობაზე საბჭოთა მთავრობის დასამხობად.

საფრანგეთსა და პოლონეთს შორის ფაქტიურათ მოხდა სამხედრო და ეკონომიური შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილი იქნება მომავალ კვირას.

პარიზი. თებერვლის 21. ტანის ცნობით, იანვრის ბოლო რიცხვებში კრემლში მოხდა საიდუმლო თათბირი ტროცკის, ძერჟინსკის, ჩიჩერინის, კალინინის, სტალინის, კამენევის, რიკოვის, პოდვოლსკის და ბოლშევიკთა სხვა გამოჩენილ მეთაურთა მონაწილეობით. თათბირის მიზანი იყო თანდათან გავრცელებულად ანტიბოლშევიკურ მიმდინარეობების წინააღმდეგ ზომების გამონახვა.

თბილისი. თებერვლის 22. საქონელზე ხელოვნურად ფასების აწევის გამო, ზურგის უფროსის პოლკ. სულაქველიძის განკარგულებით შედგენილია რქმი 25 კაცზე მათი სამხედრო სასამართლოსთვის გადასაცემად.

რომი. ქემალისტთა დელეგაცია წავიდა პარიზისკენ.

თბილისი. თებერვლის 21. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ხაშურიდან მიღებულია დეპეში საიდანაც აცნობებენ, რომ მთელი მხარე მზათ არის დაეხმაროს ფრონტს. ჯერ მოხალისეთა რაზმები, გროვდება სურსათი. უკვე შეგროვდა შვიდი ვაგონი. შეკრება გაათკეცებული ენერგიით გრძელდება.

წერილები თბილისიდან.

II

სომხეთის თავდასხმა.

ნათქვამია: ყოველ ადამიანს თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვსო ასევე ითქმის მთელ ერზედაც.

ეს თქმა განსაკუთრებით მართალი გამოდგა სომხეთისთვის.

ვერვინ ჩამოთვლის სომხეთის დადებითსა თუ უარყოფით თვისებებს ისე, რომ თვალში არ ეცეს რელიეფური ამოკვეთა მისი განსაკუთრებული არსისა: მუდმივი ღალატობა.

ვერვინ ასწერს მისი „დამოუკიდებლობის“ მოკლე ხნის ისტორიას ისე, რომ უმთავრესი ადგილი არ დაუთმოს მის მუდმივსა და უცვლელ შტრიხს: გაუტანლობას.

მათთვის კანონები არ დაწერილა. საერთაშორისო ნორმები არ არსებობს.

ასე იყო უწინ,
ასე არის ახლა,
ასე იქნება შემდეგშიაც.

მათი მთავარი და უპირველესი შეცთომა ის არის, რომ ყველას თავის საზომით ზომავენ.

მაგრამ ბედი სხვანაირად სჯის.

ისტორია სხვაგვარად იწერება.

ქართველი ერი გაკაჟებული დახვდომია მოზღვავებულ მტერს, ეს შექმნა თავის ტრადიციათ და არც ახლა ულალატებს მას.

თვით სომხეთის ზინვორებსაც არა ერთხელ უგემიათ ბრძოლებში გამობძრმედილ ქართველი მეომრის ძლიერება.

არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა თვითონვე ცდილიყო მიეფუჩეჩებია მისგანვე დაწყებული ავანტიურული გამოსვლები.

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ გასულა წინა წლებში მომხდარ და ისტორიის მიერ აღნუსხულ ფაქტების შემდეგ.

იქნებ სომხეთისთვის არ არის სასურველი ყოველივე ამის მოგონება, არ ახსოვს ან არ უნდა ახსოვდეს, მაგრამ ეს არ სპობს შესაძლებლობას ქართველმა მეომარმა გაახსენოს ძალით მივიწყებული ამბები.

“კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს“.

და ქართველი ჯარისკაციც შესძლებს გამოასწოროს უტეხი სომხეთი, ან უკიდურეს შემთხვევაში, თუ თვით არა, სამარეს მაინც გადახცეს გასასწორებლად!

გერცოგი.

ქ. თბილისი.
თებერვალი.

რუსეთა მოღალატეებს!

როდესაც თემურ-ლენგის, ჩინგისყაენის, ჯალალედინის და სხვა აზიის მტარვალთა შემოსევას ვკითხულობთ, ჩვენს აღშფოთებასა და გულისწყრომას საზღვარი არა აქვს; მაგრამ იქვე თითქო გასამართლებელ საბუთსაც ვპოულობთ: ველურნი და გაუნათლებელნი იყვნენ და მეტი რა მოეთხოვებოდათო!

— და ჩვენ რომ დღეს უდიდესი

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უალრესათ გულდათუთქულნი დეიდები: ტოლია და ევსევია ქმრებით და შვილებით, ნინა და იულია. ბიძეები: პროკოპი, გიგა ცოლშვილით და ვანიჩკა აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს თავიანთ უძვირფასესი დისწულის.

პალიკო ბეროკვნაძის

ბრძოლის ველზე ტრაღიკულათ გარდაცვალებას.

ღრმათ დამწუხრებული ბიცოლა ალექსანდრა ჯუღელისა შვილებითურთ, მარგალიტა, ნორა სონია და ვალიანი აუწყებს ნაცნობებს და ამხანაგებს ძვირფასი

პალიკო ბეროკვნაძის

ბრძოლის ველზედ ტრაღიკულათ გარდაცვალებას.

ველურობის მოწმენი გავხდით, განცვიფრებული ვეკითხებით ჩვენს თავს: ამ შემოსევის მოკარნახე და დირიჟორი ხომ მაინც განათლებული ადამიანები არიან! იმათ ხომ უმაღლესი ჰუმანიური მოძღვრების მოციქულებათ მოაქვთ თავი! ისინი ხომ მაინც არხი სოციალისტები არიან და ქვეყნად სამოთხის დამყარებას გვპირდებოდენ!..

და მერე ეგაა მათი სამოთხე და ჰუმანიზმი? ესაა მათ მიერ აღთქმული ბედნიერება და ხსნა?!

სისხლი, სისხლი და სისხლი! — აი, როგორი მოწოდება ამოდის მათი პირიდან! და სისხლით შეღებეს თავისი სამშობლოცა და სხვისიც!..

მართალია, გვეფიცებიან, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, საქართველოს წინააღმდეგ შეტევას ადგილობრივი საბჭოთა ძალები აწარმოებენო, მაგრამ დღეს ჩვენში, ბოლოც რომ არა სჩანდეს, მათი ფიციც აღარავისა სწამს!

ვერაგული თავდასხმა და შავი ზრახვებით აღსავსე წითელი სამოსელი დღეს ჩვენში ყველას უკიდურესათ აშფოთებს. არ აშფოთებს მხოლოდ მოღალატე ქართველებს, რუსულ მონაოლური საწამლავი რომ დაულევიათ და თვისსავე სამშობლოს შხამითა და გესლით რწყავენ!.. ეს ვაებატონები ჩვენში კიდევ თავისუფლათ დასეირნობენ და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ ამოფხვრას საქართველოს განადგურებით ცთილობენ!. კოსმოსის ერთი უმნიშვნელო წერტილი რომ ამ „დიდ საქმეს“ შეეწიროს, ვითომ რა დიდი მსხვერპლი იქნებაო!..

სასტიკი თვალ-ყური ამ ვაებატონებს!..

ისინი ჯერ კიდევ მრავლათ დაფუსფუსობენ ჩვენში სოფლათ და ქალაქად!.. თავის შავი საქმის კეთებას ისინი განაგრძობენ!

ეს მოსყიდული აგენტები, რომელთაც ლენინის ფულით უძრავიც ბლომათ შეიძინეს და მოძრავიც, თეთრი პურისა და ნარმის დაპირებით ბევრს გულუბრიყვილოს უბნევენ თვალებს..

რისხვა ამ ნაძირალებს!

ხოლო ჩვენი ერის დღევანდელი კეთილშობილური აღშფოთება, ჩვენს ხალხში აგიზგიზებული დიდი პატრიოტული ცეცხლი, რომლის ცხოველყოფელი შუქი ევროპაშიც უეჭველია ბევრს უტოკებს გულს, ჩვენი უტუო გამარჯვების თავდებია.

გვმარფებს სიდინჯე, მომენტის შესაფერი დაფასება და მოზღვავებული ხალხის სულიერი განწყობილების გამოყენება, სწრაფი და მოსაზრებული მოქმედება!

დონ.

მორიგი შეწირულობანი

როდესაც რუსეთის სამხედრო ფლოტი აფრიკის სანაპიროებს მიადგა და მაშინდელი მსოფლიო იმპერიის მხედრობა კართაგენს შეესია, პატარა რესპუბლიკა მრისხანე მტერს ვაჟკაცურათ დაუხვდა და საისტორიო სახელი მოიპოვა!

„ყველაფერი სამშობლოსათვისო!“ გაისმა იქ მაშინ და ყოველი კუთხიდან დაიძრა ლაშქარი და შეწირულებათა ზღვა. — ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა სამშობლოს სადარაჯოზე გამოვიდა და ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა: მეომარმა — მეომრის და დაჭრილ-დაკოდილთა მომვლელმა-მომვლელისა.

არავინ დარჩენილა, რომ სამშობლოსათვის თავის ქონების მაქსიმუმი არ გაეღოს!

და როდესაც საქმე იქამდი მივიდა, რომ იალქნებისათვის საჭირო თოკი შემოაკლდათ, კართაგენელმა დედებმა გრძელი ნაწნავები შეიკრიჭეს და სათოკე მასალათ სამშობლოს მიართვეს.

ხანგრძლივი და შეუპოვარი იყო ამ პატარა ერის ბრძოლა მრისხანე მტერთან და ამ თავგანწირვამ რომის გამოჩენილ სარდლებს ბევრჯერ აქამა სირცხვილი.

დღეს ჩვენ საიმისო არა გვჭირს რა, რომ ჩვენმა ქალებმა თმა შეიკრიჭონ, მაგრამ საფუფუნო და სხვა ძვირფას სამკაულებზე კი სწორვთ უარი უნდა სდქვან ჩვენ სახელოვანი მხედრობის ზურგის გასამაგრებლათ და გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ჯარისა და სამშობლოს დიდებისათვის უარეყოთ პირადი სამკაული! შევსწიროთ სამაჯურები, საყურეები, ეს ნაშინი უძველესის ვლურობისა, და სხვ.

ვახშმებსა და წვეულებებს თავი გავანებოთ და ჩვენი ყოველ დღიური ლუკმის უდიდესი ნაწილი ჯარს მივაწოდოთ!

არც ფრაპისა და ბანქო-ნარდის თამაშია დღეს საკადრისი და სამამულიშვილო მოღვაწეობა!..

ვისაც ორი სათფური აქვს, ერთი — ჯარს!

ვისაც ორი რწყვილი წინდა აქვს, ისიც ამგვარად! და ასევე ბოლომდე!

დღეს ქუთაისში ჯარის სასარგებლოთ შეწირულობა უხვათ გროვდება, მხოლოდ ბონების სახით.

ჩვენ შემოხვევა გვქონდა შემომწირველთა სია გადაგვეთვალიერებია. აქ თქვენ შეხვდებით სამასიანებს, ოთხასიანებს, ნახევარ მილიონებსაც... ერთი სიტყვით, ბონები და ბონები! ეტყობა, რომ ბონებს არავინ იშურებს, თუმცა აქაც ზოგიერთს გვარიანი მომჭირნეობა გამოუჩენია და, როგორც ეტყობა, „ვაჭრობაც“ დაუწყია!

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მარტო ბონები ვერ გვიშველის! ბონების გაღება, თუნდა ძალიან უხვათაც, ეს მოვალეობის შედარებით ადვილათ მოხდაა!

ჯარსა და სამშობლოს ფფრო სხვა, ხელმოსაკიდი საგნები სჭირდება და ამაზე უნდა ვიზრუნოთ!

სურსათ-სანოვაგე და ტანსაცმელი აი, ჩვენი მორიგი შემოწირულება!..

ფრონტზე ჯარისკაცს ერთი ნატეხი შაქარი ან ერთი ვაშლი ურჩევნია ბონების მთელ შეკვრას!..

დ.

საქართველო და სომხეთი

ქართველ ერს შურის ძიება არა სჩვევია, ომში კი არის შეუბრალებელი, მაგრამ დამარცხებულ იარაღ დაყრილ მტერს მუდამ სპატიოდ ეპყრობოდა; შიში არ იცოდა; მკლავისა და ხმლის იმედი ქონდა. ბევრჯერ დამარცხებული მუსულმანთა ურდოები, რომ შეხვეწნიან ქართველებს, შესცოდებიათ და დაუსახლებიათ კიდეც თავის მამულში.

აშკარა მტერი იგივე მამაცია, ერთგვარი პატივისცემით უნდა მოეპყრას მას მოპირდაპირე. ფარული მტერზე უარესი არა არის რა: შენ არას ელი, ის ფარულად მოქმედებს, დროს უცდის ზურგიდან დაგცეს ლახვარი. მხდალი სომხები რუსებთან ერთად დაგვეცენ.

ვინ, რა ხალხი გვეომება, რას გვედავება, რა წავართვით? ამაზე ფიქრობს დღეს ყველა ქართველი. უძველეს დროიდან საქართველო მუდამ იცავდა სომხებს მტრებისაგან; მათი გულისთვის ის ბევრჯერ შებრძოლებია სპარსელებს, ოსმალებს; გადაურჩენია სომხები გაჟლეტას, წამოუყვანია და აქ საქართველოში დაუსახლებია. საქართველოს კარები მუდამ ღია იყო გადმოხვეწილ სომხეთთათვის და გულუხვად უმასპინძლდებოდა. სომხებს არ ედგომებოდათ მუსულმანთა ქვეყანაში და საქართველოში მოდიოდენ.

გავიდა ხანი, მოისვენეს სომხებმა და გაუარათ რა შიშმა მიჰყვეს ხელი და დაუწყეს ძარცვა ქართველებს ქონებას; მოითბენ ხელი, აყოყოჩდენ და ისე მოიქცენ, თითქოს მოსული კი არა, მასპინძლები იყვნენ საქართველოში: იქამდის მივიდა მათი უტიფრობა, კბენაც კი დაუწყეს საქართველოს.

ბერეკლე მეორემ რამოდენიმე ათასი ქართველი მეომარი შეაყლიტა სომხების დასაცავად განჯა ერევნის სახანოებს. გადაარჩინა სომხები გაჟლეტას და რამოდენიმე ასი სომხები წამოიყვანა და ჩაასახლა საქართველოში. სამაგიერო რით გადაუხადეს სომხებმა მას? აღამამადხანის შემოსევის დროს სომხებმა ულალატეს მეფეს, ასწავლეს მტერს გზა, ააოხრებინეს თბილისი. რათ ჩაიდინეს სომხებმა ასეთი ვერაგობა?! — იმ დროს საქართველოში კათოლიკეთა მისიონერები მოქმედებდენ. ბევრმა სომეხმა მიიღო კათოლიკობა. სომხის სამღვდელოება ამ მოვლენით დიდად სწუხდა. ბოლოს იმდენი მოახერხეს, რომ ბერეკლე დაიყოლიეს, და მიიღენ მისგან ნება გაკათოლიკებული სომხები ისევ წინანდელ სარწმუნოებისათვის დაებრუნებინათ. შეესიენ სომხები თბილისში მისიონერებს, სცემეს და გაკათოლიკებულ სომხებს ძალით ისევ სომხის სარწმუნოება მიაღებინეს. ეს მოხდა 1775 წ.

ბერეკლე მეფე რომის პაპის დახმარებას საჭიროებდა და ელოდა კიდეც, მაგრამ უკანასკნელი დამაფიქრებელი იყო და სწუხდა. გადასწყვიტა ისევ დაეახლოვებია მისიონერები და აღუთქვა მათ დახმარება საქართველოში, იმ პირობით რომ უკანასკნელათ ეშუამდგომლათ პაპსთან და ევროპის მეფეთა წინაშე რათა უკანასკნელნი დახმარებოდათ ქართველებს მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ორივე მხარემ ერთმანეთს დახმარება აღუთქვეს. ერთი მისიონერი წავიდა ევროპაში ერეკლეს თხოვნით პაპთან. სომხებმა რომ ეს გაიგეს შეეცადენ მისიონერების და ერეკლეს გადამტერებას, მაგრამ ვერას გახდენ. გიორგი ტახტის მემკვიდრე, წინააღმდეგი იყო სომხების ასეთი საქციელის. ერეკლემ სომხებს აღარ დაუჯერა, დარჩენ გულნაწყენი; მისიონერების მოქმედება მათ აშინებდა, რომ არ გაკათოლიკებულიყო სომხები საქართველოში, ამას შეფეს აბრალებდენ, რადგან მან არ განდევნა, მისიონერები საქართველოდან.

აღიჭურვენ შურით სომხები ერეკლეს წინააღმდეგ; იშოვეს დრო, ას წავლეს გზები აღა-მამადხანის ურდოებს წამოუძღვენ, და ააოხრებიეს მტერს თბილისი 1795 წ. მოღალატე სომხების მეთაურები იყვენ არღუთაშვილები, ყორღანაშვილები და ბებუთაშვილები. მეფე მიხვდა სომხების ვერაგობას, მაგრამ გვიანღა იყო. ამის შემდეგ ერეკლე მალე გაიცვალა.

ერეკლეს მემკვიდრე გიორგი მეფე სომხებს არ ენდობოდა; ამ დროს ყარსის და მის მეზობელ კუთხეების ფაშებმა გამორეკეს სომხები თავის სამფლობელოდან. სომხებმა მიმართეს გიორგი მეფეს; მეფემ უარი განაცხადა, არ შემოუშვა სომხები საქართველოში.

გიორგი რუსეთის იმპერატორთან კავშირსა სდებდა. სომხებმა მიმართეს იმპერატორს, თხოვეს გაეწია შუამდგომლობა მეფესთან, მიეღო სომხები რათა უკანასკნელს დაესახლებინა საქართველოში. იმპერატორმაც თხოვა ეს გიორგის. რა ექნა მეფეს? არ მიეღო თხოვნა, არ ივარგებდა, იმპერატორისაგან შეეღლოდა საქართველოს ხსნას. შემოუშვა სომხები, დაასახლა ბორჩალოში: გიორგი მეფის პოლიტიკამ დააფიქრა სომხები. მეფე საქართველოში მათ ალარ იღებდა, ოსმალეთის და სპარსეთის სახანოებში არ ეღვომებოდათ საით წასულიყვენ ვისთვის მიემართათ.

ამ დროს რუსეთსა და საქართველოს შორის კავშირი დაიდო. მეფის ოჯახში და დიდებულთა შორის დიდი უთანხმოება იყო. სამეფო ტახტი რყევას განიცდიდა. ამოძრავდენ სომხებიც; მათი სურვილი იყო საქართველოს სამეფოს მოსპობა და გადაცემა სისი რუსეთზე; მაშინ ქართველები და სომხები რუსეთის ხელქვეით ერთი უფლებით იქნებიან მოსილნი საქართველოში. თუ რუსეთი საქართველოში დამკვიდრდა, მუსულმანთა სახანოებს დაიპყრობს, მაშინ სომხებს ხომ ბედნიერი დღე დაუდგებათ, ერთ სახელმწიფოში მოექცევიან სომხის ერის ერთი დიდი ნაწილი.

გიორგი მეფე გადაიცვალა. რუსეთან ხელშეკრულების ძალით ტახტზე უნდა ასულიყო დავითი გიორგი მეფის უფროსი შვილი; ამისთვის იმპერატორის წინასწარი ნებართვა არ იყოს საჭირო. დავითის შეუღლე სომხის ქალი იყო. სომხები კარგად იცნობდენ დავითს, მუდამ ჩასჩიჩინებდენ მათ: ნუ გამოაცხადებ შენ თავს მეფედ იმპერატორის დაუკითხავად. დავითიც სამწუხაროდ უჯერებდა სომხებს, ამ დროს რუსის გენერლები და სომხები აწყობდენ საქართველოს სამეფოს მოსპობის საქმეს; არიგდარიეს სამეფოს საქმეები. აცნობეს იმპერატორს მათი სურვილი. დავითს კი ატყუებდენ, ეუბნებოდენ: იმპერატორი მალე გიცნობს შენ შეფედო. მოვიდა ცნობა საქართველოს სამეფოს მოსპობისა. ქართველი ერი ჩავარდა საგონებელში. ყველა მწუხარებამ, შეიპყრო, შეიქნა ჩუმი მითქმა-მოთქმა მაგრამ, დაემორჩილენ ისევ, თუმცა აქა იქ იფეთქა ამბოხებამ, მაგრამ მალე ჩააქრეს. საქართველოს სამეფოს მოსპობის გამოცხადებას სომხები დიდი ზეიმით შეხვდენ: ერთი დღე და ღამე მათ სიხარულისა და ყვირილს ქუჩებში საზღვარი არ ქონდა, მორთეს ეკლესიებში ზარის რეკვა. აუსრულდათ სომხებს წადილი ქართველები სომხების ვერაგობას ვერ მიხვდენ. რუსეთმა დაიბყრო კავკასია, ამით სომხის ერი ერთ ფარგალში მოხვდა, გაერთიანდა. სომხები უმთავრესად საქართველოს მოაწყდენ. როგორც მდიდარ მხარეს. ქართველები გულუბრყვილოდ დაუხვდენ. სომხებმა მიყვეს ხელი ჩარჩობას მით კიდეც დაეპატრონენ დედა ქალაქ თფილისს; იწვევდენ შორიდან თავის თანამემამულეებს და ასახლებდენ საქართველოში. საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობა ჩაიგდეს ხელში. ამ გადმოხვეწილმა დევნილმა ხალხმა, რომელიც გადავარჩინეთ სიკვდილს, მივეციით საქართველოში ბინა, გაუშვით თავის ნებაზე, დაივიწყა სრულიად ჩვენი ამაგი და რომ გასუქდა ჩვენი ქონებით, დაგვიწყო კბენა; იმდენად გათამამდა, რომ „თბილის-ბორჩალო ჩვენიაო“ გაიძახოდა.

ამასთანავე რუსეთის მთავრობაც გვდევნიდა. ვარანცოვ დავკოვმა, რუსეთის სიბნელისა და ბოროტების

ქართველი ხელი ხმალს იპარავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმასახიერებელმა, უფრო გაათამამა სომხები, ხაჩატუროვი, რედაქტორი გაზ. „თბილისის ფურცელი“-სა, ერთ ვახშამზე მოუწოდებს სომეხ-ვაჭრებს; შემოხვევით ამ ვახშამზე ქართველი ვაჭარიც დაესწრო: „შეიყიდეთ ქართველების მამული ქართლ-კახეთში ჩაიგდეთ ხელში თბილისის გუბერნია, სომხების ქვეყნად გადავაქციოთო.

მეორე დღეს ეს ამბავი გაიგეს ქართველებმა, მაგრამ ხაჩატუროვი უკვე გაქცეულიყო ასხაბადში. ქართველები აღშფოთებული იყვენ ხაჩატუროვ-სომხების საქციელით. ძმა გაქცეული ხაჩატუროვისა, რედაქტორი ამავე გაზეთის, ისეთივე შეხედულების იყო მიდის ქართულ კლუბში და სეირნობს. მამულიშვილის გულმა ვერ მოითმინა სომხის ასეთი უტიფრობა, მისწვდა და ქართველურად ..... გამოაგდეს ქართველებმა ხაჩატუროვი კლუბიდან.

ქართველები უკვე მოვიდენ გონს და მასზე დაიწყეს ფიქრი თუ როგორ აელაგმონ სომხები საქართველოში. ჩვენდა საბედნიეროდ 1914 წ. ომში რუსეთი დაიქცა, დარჩა საქართველო დამოუკიდებელი. აწ ვინღა აფარფაშებდა სომხებს? ტერიტორია მათ დიდი ხანია დაკარგეს, შერჩათ ნახევარი ერევნის ოლქი. ცალკე რესპუბლიკის შექმნა ვერ მოახერხეს. სომხები, როგორც ერი ცხოვრობდა სხვის ტერიტორიაზე ვაჭრობა-მრეწველობით, ეხლა კი დარჩენ დაქსაქსული კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებში. ასეთი მოვლენა ასუსტებს ერს, როგორც კულტურულად ისე ეკონომიურად.

კავკასიის გაერთიანება სომხის ერისათვის დიდათ საჭიროა, წინაღმდეგ შემთხვევაში მუდამ დაბჩაღებული იქნებიან. საქართველოს დამოუკიდებლობას სომხები ვერ შეურიგდებიან. აქ იყო მათი კულტურული ცენტრი. სომხები გინდ გაბოლშევიკდებიან, გინდა გადარჯულდებიან, ოღონდ კავკასია გაერთიანდეს; რუსეთი შესძლებს ამას თუ ჩინეთი მათთვის სულერთია; მას დაუჭერენ მხარს, ვინც კავკასიას ისევ გაერთიანებს. ერევნის ოლქის ნაწილი მათ ვერ დააკმაყოფილებს; კავკასიის რესპუბლიკები უპირატესობას სახელმწიფო ცხოვრებაში თავის ერს მიანიჭებს. სომხის ვაჭრობა-მრეწველობას აღაგმენ და ამიტომ სანამ საქართველო დამოუკიდებელი იქნება, მანამ სომხები საქართველოს მტრები იქნებიან. ამის ნიშანი უკვე ჩანს. სომხებმა ამ ომში გვიღალატეს, რუსებთან ერთად ომობენ, ნაწილობრივ თავის მიზანს მიაღწიეს. ადერბეიჯანის გაბოლშევიკებას სომხებმა შეუწყეს ხელი; მერე თავადაც გაბოლშევიკდენ; ეს მოახდინეს გაიძვერობით, თვალთმაქცობით; შეერთდენ ბაქო-ერევნის სომხები. ეს იყო მათი მიზანი; განა სომხის ინტელიგენცია გაბოლშევიკდება? დროს უცდიან თავის მიზანს მიაღწიონ, შემდეგ იცვლიან სახეს. ღღეს ჩვენზე მოდიან ბოლშევიზმის სახელით, მაგრამ უკვე ვიცით მათი ვერაგობა, შევანახეთ ნამოქმედარს. ამ ვერაგმა ხალხმა დაიკიწყა ქართველების ამაგი. ქართველ[illegible] ეუდამ უნდა ახსოვდეს სომხებს [illegible] საქციელი, კმარა თავაზიანობა, გულუხვობა; შურს არ იძიებს, არ შეშვენის რაინდ ერს, მაგრამ შესაფერი ადგილი უნდა მიეჩინოს სომხებს საქართველოში.

ა. კვიტაშვილი.

რას იტყვის მოსკოვი?

სომხეთ-ადერბეიჯანის საბჭოთა ჯარი საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ ჯარებთან ერთად შეერთებული ძალით მოულოდნელად თავს დაგვესხა ჩვენი დამოუკიდებლობის მოსასპობად. ამავე დროს საბჭოთა რუსეთმა განაცხადა, რომ ის იცავს ჩვენთან 7 მაისს დადებულ ხელშეკრულობას და ომში არ ერევა. მიუხედავად იმ უდავო ფაქტებისა, რომ საბჭოთა რუსეთმა თავისი ჯარით და მრავალრიცხოვან აგენტების საშვალებით მოაწყო ჩვენზე თავდასხმა, მოსკოვის დიპლომატია მაინც ცდილობს მოახდინოს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ვითომც ამიერკავკასიის რესპუბლიკები თვით დაესხენ ერთმანეთს და საბჭოთა რუსეთი კი თითქოს არაფერ შუაშია. საბედნიეროდ ომის მიმდინარეობამ მალე დაგვანახვა, რომ მოსკოვი ანგარიშში მოტყუვდა.

ფრონტიდან ცნობებია, რომ ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა და გაქცეულს უკან მისდევს. ამავე დროს მოხდა ბოლშევიკური მთავრობის ჩამოგდება ერევანში და მის მაგიერ ახალი მთავრობის შედგენა, რომელმაც ბოლშევიკების წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაიწყო. თუ მხედველობაში მივიღებთ ცნობებს, რომ ბოლშევიკების გაქცეულ ჯარს თათრები ხიდვებს უფეთქებენ და დაღესტანშიც აჯანყება დაიწყო მათ წინააღმდეგ, სრული საფუძველი გვაქვს ვიმედოვნოთ, რომ ხელოვნურად შეკოწიწებული რუს-სომეხ-ადერბეიჯანის ბოლშევიკური ჯარი განადგურდება და საბოლოოდ გაქრება ის ამიერ კავკასიიდან. მაგრამ აქ იბადება საკითხი: „რას იტყვის მოსკოვი“, რომელმაც თავიდანვე განაცხადა, რომ ომში არ ერევა. შეურიგდება ის ამიერ-კავკასიის, უმთავრესად კი ბაქოს დაკარგვას, თუ ჩაერევა ომში ადერბეიჯანსომხეთის საბჭოთა მთავრობების დასაცავად? ჩვენ ვიცით, რომ ბაქოს დაკარგვას რუსეთი ადვილად ვერ მოინელებს, რადგან ბაქოს ნავთი მისი მოშლილი ტრანსპორტის სულის ჩამდგმელია. გარდა ამისა საბჭოთა რუსეთი, რომელიც დღემდის ანტანტას, უფრო კი ინგლისს, ებრძოლებოდა ანგორის მთავრობასთან მეგობრულ კავშირის დაჭერით, რომლის საშვალებით მას სურდა მაჰმადიანთა ქვეყნების ამხედრება ანტანტის წინააღმდეგ, ვერ შეურიგდება შექმნილ პირობებს, თუ არ უნდა რომ ჩაკეტილი დარჩეს თავის რუსეთის კალიბოტში და იქ დალიოს ბოლშევიკური სული.

ამიტომ მოსკოვს სჭირია არჩევანი მოახდინოს. მან ან უნდა მოინელოს ბოლშევიკურ ჯარების განადგურება კავკასიაში, ხელი აიღოს ბაქოზე, საერთოდ ამიერ-კავკასიაზე და შეჩერდეს თავის ბუნებრივ საზღვარზე ანდა ომი უნდა გამოუცხადოს საქართველოს და მოსალოდნელია ანგორასაც ე. ი. მაჰმადიანობას, რომელიც მას სურდა გამოეყენებია თავის იარაღად ანტანტის წინააღმდეგ. უკანასკნელ შემთხვევაში მოსალოდნელია ნაცვლად მაჰმადიანთა ქვეყნების გამოლაშქრებისა ანტანტის წინააღმდეგ, ისინი გაილაშქრებიან თვით ბოლშევიკების წინააღმდეგ რასაც უეჭველია ანტანტა ხელს შეუწყობს და მაშინ საბჭოთა რუსეთზე შესაძლებელია გამართლდეს თქმულება: „ხმლის აღლები ხმლისგანვე დაეცვმაო“.

ვნახოთ, რას იტყვის მოსკოვი.

ლ. ევანია.

მ ო დ ი ა ნ....

(სურათი)

— ეს ნამდვილად ის არის! ის არის ღმერთმანი!

— აჰ! არ დავიჯერებ!

— ეგ შენი საქმეა, მაგრამ მე კი გარწმუნებ, რომ ის არის!..

— მერე? ავტომობილი ვინ მისცა?!

— ჰმ! ვინ მისცა?

— ეს კი არა და ახლა მისი სახლები ნახე? ტანისამოსი, ქურქები, ოჯახის მოწყობილობა?!

ცოლი? ცოლი?..

— როგორ? ცოლიც შეირთო? მერე ვინ გაჰყვა იმ პირ-დაუბანელს, წუნწლიანს, მათხოვარს, იმას?! ხა! ხა! ხა!!

— ვინდა თავადის ქალი, გიმნაზიაში კურს დამთავრებული, ლამაზი, კეკლუცი ნაზად აღზრდილი...

ახლა ესეც ნახე? როგორ ჩახავედებულ, ჩაფარჩული დაჰყავს?!

— გახსოვს? დარბაზში რომ უშვებდი, იატაკს გამისვრიო და კინწის კვრით თავის საშზარეულოში გაგდებდი ხოლმე?

მერე? რამდენ ხანს იყო ჩვენს ოჯახში და მზარეულობას არ აშორებია მისი სამსახური?!.

მუდამ საშზარეულოში იჯდა და წიგნს ან რაიმე გაზეთს კითხულობდა ხოლმე?!

გაცინებულს ხომ იშვიათად ნახავდი?!

არც ერთ კრებას არ აკლდებოდა!

ჩვენს გართობას, ხანგრძლივ დროის ტარებას ზიზღით უყურებდა.

ლარიბებს და გაჭირვებულ მუშებს ყოველთვის ეჭმაგებოდა.

მუშის დამცირების ან შეურაცყოფის ნებას არავის არ მისცემდა.

პირში ეცემოდა, ეჩხუბებოდა. ხოლმე...

რამდენჯერ მსმენია მისი ნაღვლით სავსე სიტყვები:

— საზიზღარნო! თქვენც მოგვღებათ ბოლო. თქვენც წახვალთ!:

მუქთახორებო! როდემდის? როდემის უნდა იცხოვროთ ასე სხვისი შრომით, სხვისი ნაოფლარით?!

ხომ გახსოვს! ვისაც კი შეხედავდა ძვირფასად ჩაცმულს, ეტლში ჩამჯდარს გამდიდრებულს, როგორ ეზიზღებოდა!!

მწყრალი, შეკმუხვნილი წარბებით, თავისთვის წაილუღლუღებდა ხოლმე:

— საზიზღარნი? ვისი ფულით, ვისი ნაშრომით პარპაშებენო!

მისი გუშინდელი სახე თვალწინ მიდგია.

მისი სიტყვები ყურში ჩამძახიან: მოვა დრო და ამ სისაძაგლეს ბოლო ექნება, ყველაფერი შეიცვლებაო.

და შეიცვალა კიდეც!

გუშინდელი მონა, ცხოვრების გერი, ბედისაგან დევნილი და დაჩაგრული ღღეს...

ღღეს წელში გაიმართა, ცხოვრებას სათავეში მოექცა და თავისებურად ატრიალებს მის ჩარხს!..

გუშინდელი მონა ღღეს ბატონია..

გუშინ, თუ ის ცივ სარდაფებში იმალებოდა..

ღღეს იგი თავისუფლებით გაბრწყინვალებული დროშის ქვეშ დგას!.

თამამად გაიძახის:

— გაუმარჯოს თავისუფლებას! კურთხევა მშრომელის მაჯასო!...

მაგრამ ეჰ!

ყველაფერი იცვლება! მუდმივი არა არის რა ცხოვრებაში?!

ასე ყოფილა წინეთ და ასე იქნება ყოველთვიც!

ძველი იხრწნება და მიდის...

ახალი იბადება, ვაჟკაცდება და მოდის...

ძველები მიდიან ჩვენგან...

ახლები კი მოდიან...

— დიახ. მოდიან ჩვენსკენ...

თეოფ. ხუსკივაძე.

კორესპოდენცია.

თერჯოლის თემი

(ს. რუფოთი).

კვირას თებერვლის 13 ს ს. რუფოთში მოხდა საქართველოს დემოკრატიული პარტის თანამოაზრეთა კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთეს ა. გველესიანმა და ვლ. ნემსიწვერიძემ პროგრამაზე და პარტიაზე. კრებაზე დაესწრო ხუთიოდე სოციალ-დემოკრატი. თერჯოლის სათემო ერობის ხმოსანმა იაგორ მაჭავარიანმა გაილაშქრა მომხსენებლების წინააღმდეგ მაგრამ შესაფერი პასუხი მიიღო აკაკი გველესიანისგან, რომლის საპასუხო სიტყვა დამსწრეთაგან დაჯილდოებულ იქმნა ტაშით. დასასრულ კრებამ აირჩია ადგილობრივი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მიხეილ გოცირიძე, 2) მიხეილ გოგსაძე, 3) გალაქტიონ გოგიაშვილი 4) მიზ. გოგიაშვილი 5) კალ. საყვარელიძე 6) უშანგი კაკიაშვილი და 7) ფილიპე სოფრომაძე.

ვ. გუთნისპირელი.

თერჯოლის თემი ხუთშაბათს 17 თებერვალს ან. სტ. ს. თერჯოლაში შეიპყრეს ქურდები გრიშა გიორგის ძე მაკარიძე, ალექსანდრე ნიკოლაძე, გრიშა ნიკოლაძე და ისიდორე ნიკოლაძე. ეს ვაჟბატონები ოთხშაბათს ღამეს მისულიყვნენ საზონოში და მოეპარათ ღვინო, ბატები, ქათმები და სხვა. საზონოელები დიდათ მარჯვეთ მოქცეულან. გაუგიათ გამოკიდებიან უკან და მიუგნიათ გიორგი მაკარიძისას. სამი ძმა ნიკოლაძეები ჩხარელები არიან და გრიშა მაკარიძე თერჯოლელია. ხუთშაბათ დილას თერჯოლის სამმართველოში მოვიდა ცნობა ქურდების შესახებ და აქედანაც თემის თავმჯდომარე ვ. მაკარიძე და მილიციის უფროსი ი. კროპი თავის მილიციონერებით სირბილით გაეშურენ ქურდებისაკენ და ერთი საათის შემდეგ სოზანო-ზოვბეთის შეიარაღებულ ძალასთან ერთად მოიყვანეს დაჭერილი ბატებით და ქათმებით ხელში და ტიკპორა ღვინით ზურგზე.

მათ ქონდათ თან ღვინის ორშიმო, ძაბრი, თოხი და ასეთები. ეზომო ხალხი მოყვა მათ და ყველანი პირში აფურთხებენ ქურდებს ქონდათ დასისხლიანებული პირისახეები..

შეყარეს ყველანი სამმართველოში, დააკვლევინეს ხელებში ნაპარაკი საქონელი. ერთ მათგანს რევოლვერიც კი ამოაჩნდა.

გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა რომ კარგი დახელოვნებული ქურდები ბრძანდებიან და ბევრი ზარალიც მიუყენებიათ. ჩვენი ხალხისათვის. ხალხი მოითხოვდა იქვე ათ სიკვდილს... მთავრობამ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და შესაფერად დასაჯოს ეს ვაჟბატონი ქურდბაცაცები, რომ ჩვენ ხალხის ოფლით ნაშოვნი ჭირნახული და საქონელი ქურდების საფლანგავად არ იხარჯებოდეს.

და მერმისად მეორემ აღარ გაბედოს ასეთი საზიზღარი საქმის ჩადენა.

ყველაზე უფრო უსაშინელესი მტერია ჩვენთვის ქურდ-ბაცაცი, რადგან არ იცი რომელ ღამეს გესტუმრება და გაგაბედნიერებს...

ხალხი ამბობდა, რომ ასეთ პირებს მთავრობა ერთი ორი თვის იქით გაანთავისუფლებსო.

ვნახოთ როგორ მოეპყრობიან ასეთ ვაჟბატონებს...

დასასრულს დიდი მადლობის ღირსნი არიან საზანო-ზოვრეთლები და თერჯოლის თემის მოსამსახურენი, რომლებმაც შეიპყრეს ეს ვაჟბატონები...

ვ. გუთნისპირელი.

მთავარი რედაქტორი კ. კაპანელი.
სარედაქციო კოლეგია

ექიმი
ი. ბ. მეგურიშვილი
ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება საღამ. 5—8 საათამდი.
ჭავჭავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8. ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს
თვ.

დ ა ვ კ ა რ გ ე
რკინის გზის მატარებელშიდ 16 თებერვალს ხუთი კვიტანცია, მოცემული ნატარიუსი ხუსკივაძისგან 16000 მ. და პირადობის ბილეთი, ვთხოვთ მნახველს წარმოადგინოს ერობის რედაქციაში და ბილეთს ვაცხადებ გაუქმებულათ. სერგო ნემსაძე.

დ ა ვ კ ა რ გ ე
მოწმობა მოცემული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილისაგან 14 დეკემბერი 1920 № 10106 ვაცხადებ გაუქმებულათ ალექსანდრე გიორგის ძე დიდავა.

დ ა ვ კ ა რ გ ე
ბილეთი სამხედრო სამსახურისაგან თავისუფლობის, მოცემული ქუთაისის ერობისაგან, იანვარშიდ ამა 1921 წელშიდ, ვაცხადებ გაუქმებულად ავქსენტი მიხეილის ძე ჯგერნაია.

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა. სტამბა იოსებ ხელაძისა.